სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლალი აგამშმაძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	87	100

გიორგი გზოზავა

თარიღი : 17.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„17“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ლალი აბაშმაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა 18 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ლალი აბაშმაძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 4 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ლალი აბაშმაძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის“ 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კანდიდატი **ლალი აბაშმაძე** არის თავმდაბალი, თავდაჭერილი და ღირსეული ადამიანი. გამოირჩევა გულისმიერებით, სამართლიანობით და საქმისადმი ერთგულებით. ასევე, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა დავალიანების გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში **ლალი აბაშმაძეს** ჩადენილი აქვს 2 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ლალი აბაშმაძე** **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ლალი აბაშმაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/21.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 13.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* ლალი აბაშმაძემ გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. მისი ნაწერები ჩამოყალიბებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად. *სამოქალაქო სამართალში* მუშაობისას შესაფასებელი პირი პრაქტიკული დავალებების შესრულებისას იყო სწრაფი და დამაჯერებელი, ხოლო მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგები, დადგენილებები - აზრობრივად დალაგებული. რეკომენდირებულია მან იმუშაოს, გარდა ვალდებულებითი სამართლისა, სამოქალაქო სამართლის სხვა მიმართულებით, რათა უფრო მეტად გაიღრმავოს ცოდნა სამოქალაქო სამართლის სხვა ნაწილში. *სისხლის სამართალში* მუშაობისას კანდიდატმა გამოავლინა ლოგიკური აზროვნებისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების კარგი უნარი. მას

სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი აქვს. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

ლალი აბაშმაძესთან გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს კონსტიტუციას, სამოქალაქო სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლალი აბაშმაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის თითქმის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლალი აბაშმაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ლალი აბაშმაძეს გააჩნია გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე მსჯელობისას კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილი იყო სწორი საპროცესო ფორმით. აქვს სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები, სამართლებრივი დასკვნები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებებს საჭიროებდა.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლალი აბაშმაძე** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

2.4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის გონებაგახსნილი, გულისხმიერებით და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით გამორჩეული. რეკომენდატორები უთითებენ, რომ მას აქვს მოსამართლის სტატუსისთვის აუცილებელი ყველა პროფესიული თვისება.

დასკვნა: პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლალი აბაშმაძე** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

ლალი აბაშმაძე არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- 2019 წელს კანდიდატმა ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით;
- ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
- გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი.

დასკვნა: აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლალი აბაშმაძე** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

2.6. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმებით **ლალი აბაშმაძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია ინიციატივის გამოჩენის უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- 2021 წელი, სექტემბერი (ევროპის საბჭო) - ევროპის საბჭოს პროგრამის ფარგლებში ადამიანის უფლებათა სწავლება იურისტი პროფესიონალებისთვის;
- 2021 წელი (განათლების ევროპული ცენტრი) - ინტენსიური სასწავლო კურსი თემაზე- სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების სტანდარტების მიხედვით;
- 2021 წელი, 11-12 დეკემბერი (UNDP) - მედიაცია;
- 2021 წელი, 24-25 აპრილი (იუსტიციის უმაღლესი სკოლა) - სტრესის მართვა;
- 2021 წელი, 7 აპრილი (DoJ) - ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე;
- 2021 წელი, 6, 7, 13 თებერვალი (Prolog) - ბავშვის უფლებათა კოდექსი და სხვა.

დასკვნა: პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ლალი აბაშმაძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ლალი აბაშმაძე** **<u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **87** (ოთხმოცდაშვიდი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი